11558-04-9-2-201910251324

N 04-9/11558
25/10/2019

საქართველოს პრემიერ მინისტრს
ბატონ გიორგი გახარიას

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი დუგლაძეს

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ივანე ცარციძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

(ადიგენის მუნიციპალიტეტში, ქვაბიჯვრის ტერიტორიაზე მდებარე მიწის სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემის კანონიერებასთან დაკავშირებით)

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

ბატონო ირაკლი,

ბატონო ივანე,

საქართველოს სახალხო დამცველს აა(ი)პ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიმართა, რომელიც ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბიჯვარში (სოფელი დღესდღეობით დაცლილია მოსახლეობისაგან და შედის სოფელ კიკიბოს შემადგენლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად რეგისტრაციის კანონიერებას შეეხება.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაცია[2] საფუძვლად დაედო წინამდებარე რეკომენდაციას.

1. **ფაქტობრივი გარემოებები:**

[1] N1332/19 საქმე.

[2] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 19 თებერვლის N5/9985 და 2019 წლის 14 მაისის N14/28546; ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 22 აპრილის N1736/09; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2019 წლის 5 მარტის N21900008701; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 18 ივნისის N211866; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 31 ივლისის N04/5844, 7 აგვისტოს N04/6117 და 23 აგვისტოს N04/659 წერილები.

განცხადების მიხედვით, ქვაბიჯვრის ტერიტორიაზე მდებარე (საკადასტრო კოდი N61.23.21.301 ფართობი 68 346 მ^2 და საკადასტრო კოდი N61.23.21.301 ფართობი 1 000 მ^2 სასოფლო- სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების) მიწის ნაკვეთებს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში - დერცელსა და კიკიბოში მცხოვრები მოსახლეობა წლების განმავლობაში საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის იყენებდა. სოფლები დერცელი და კიკიბო (სადაც შედის ქვაბიჯვრის ტერიტორიაც) ირიცხება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.[3] განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2018 წლის შემოდგომაზე მათ შეეზღუდათ სარგებლობის უფლება, ვინაიდან მიწის ნაკვეთების მესაკუთრე სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში საპატრიარქო) გახდა.

საპატრიარქომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში ქონების სააგენტო) განცხადებით[4] მიმართა და ქვაბიჯვრის ტერიტორიაზე N61.23.21.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ფართობი 68 346 მ^2) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია და შემდგომში საპატრიარქოსათვის სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა.[5]

ხსენებული ტერიტორია ირიცხებოდა ტყის ფონდში, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულების[6] საფუძველზე ამოირიცხა სახელმწიფო ტყის ფონდიდან. აღნიშნულის შემდეგ კი ქონების სააგენტომ მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში საჯარო რეესტრი) მიმართა,[7] რასთან დაკავშირებითაც დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ადრესატი უწყების მიერ.[8] მოგვიანებით, კი ქვაბიჯვრის ტერიტორიაზე არსებული ქონების მესაკუთრე საპატრიარქო პირდაპირი წესით უსასყიდლოდ მიყიდვის საფუძველზე გახდა.[9]

ქონების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. საჩივრის განმხილველმა ორგანომ მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.[10]

2. **სამართლებრივი შეფასება:**

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ქვაბიჯვრის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის საპატრიარქოსათვის გადაცემის თაობაზე უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის

---

[3] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილება.

[4] სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ქორეპისკოპოსის 2018 წლის 21 მარტის N30 წერილი.

[5] სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ქორეპისკოპოსის 2018 წლის 21 მარტის N30 წერილით N61.23.21.302 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ფართობი 1 000 მ^2) საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი საფუძველზე საპატრიარქოს საკუთრებად რეგისტრაცია მოითხოვა.

[6] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის N1187 განკარგულება.

[7] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 31 მაისის N1/2-161 და 1-ლი ივნისის N1/2-162 ბრძანებები.

[8] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 1-ლი ივნისის N892018474850-03 გადაწყვეტილება.

[9] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 სექტემბრის N1811 განკარგულება; სახელმწიფო ქონების საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ 2018 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N 892018853411-03 გადაწყვეტილება.

[10] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 30 ივლისის N1-1/372 ბრძანება.

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე მიღებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, **საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 სექტემბრის N1811 განკარგულება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N892018853411-03 გადაწყვეტილება** წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.[11] ხოლო, **2018 წლის 2 ოქტომბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება.**[12]

განსახილველ შემთხვევაში სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ რეკომენდაციის ადრესატმა უწყებებმა უგულებელყვეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის მოთხოვნები, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის დაცვის,[13] საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა[14] და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების[15] ვალდებულებებს აკისრებს.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვა და სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრაცია, საპატრიარქოსთვის გადაცემის მიზნით განხორციელდა. როგორც ცნობილია, საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შესულ ტერიტორიაზე.

საქართველო, კონსტიტუციის მიხედვით არის სოციალური სახელმწიფო და აღნიშნულის ერთ-ერთი გამოვლინებაა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის ზრუნვა განსაკუთრებული პირობების შექმნის გზით.[16] სოციალური სახელმწიფო თავის მხრივ არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. აღნიშნული კი გულისხმობს შესაძლებლობების თანასწორობის, სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილებისა და სოციალური რისკებისაგან დაცვის უზრუნველყოფას.[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზანი სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის, შეძლებისდაგვარად, თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალური პირობების შექმნაა. ხსენებული მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, შესაძლებელია სრულად ვერ განხორციელდეს, თუმცა მათი მიღწევა სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს.[18]

სწორედ სოციალური სახელმწიფოს პრინციპს დაუკავშირა კანონმდებელმა მაღალმთიანი რეგიონების განვითარება. სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური

---

[11]საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

[12] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

[13] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლები.

[14] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი.

[15] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი.

[16] საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

[17]ცხადაძე თ., *კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის ძიებაში,* „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ”, 195.

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის № 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ. II, პ. 20.

პრობლემების გადაჭრისაკენ.[19] 2015 წელს მიღებული კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ გარკვეულ შეღავათებს აწესებს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევის მიზნით.

ტერიტორიის მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანას სხვა კრიტერიუმებთან ერთად მიწის სიმწირეც განსაზღვრავს.[20] ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია აპარატისათვის მოწოდებულ კორესპონდენციაში აღნიშნავს, რომ მუნიციპალურ საკუთრებაში არ ირიცხება ისეთი უძრავი ქონება, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სათიბი დანიშნულებით გამოიყენებს.

იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო დეკლარირებულად აღიარებს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის საჭიროებას და გასხვისებული ტერიტორია სწორედ აღნიშნულ დასახლებათა ნუსხაში ირიცხებოდა, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს ჰქონდათ ვალდებულება გამოეკვლიათ, მიწის ნაკვეთის მხოლოდ ერთ სუბიექტზე რეგისტრაციას რა გავლენა ექნებოდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შესაბამისი ინფორმაცია (მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის სავარაუდო მოსარგებლეების შესახებ) უნდა გამოეთხოვა ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და გაერკვია ამ სადავო მიწის ნაკვეთების მთლიანად ერთი მესაკუთრისთვის გადაცემა რა გავლენას მოახდენდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობაზე, ამასთან შესაძლოა ემსჯელა არა მთლიანად მოთხოვნილი არამედ ნაწილი ტერიტორიების საპატრიარქოსათვის გადაცემაზე.

რეკომენდაციის ადრესატი უწყებები ქვაბიჯვრის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად და შემდგომში საპატრიარქოსათვის გადაცემის დროს მოქმედებდნენ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილ ფარგლებში[21] და იმ მიზნის მისაღწევად, რომლის მისაღწევადაც ორგანოს მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.[22] ამასთანავე, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულია კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირების[23] და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა.[24]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაიცვას კანონის ფარგლები და ამ ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გამართლება შესაძლებელი უნდა იყოს კანონის მიზნიდან გამომდინარე. ამასთან, ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას უნდა განხორციელდეს კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირება და მიზნის მისაღწევი საშუალება უნდა შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღოს პირის უფლებების და თავისუფლებებისათვის ყველაზე უფრო ნაკლები ზიანის მომტანი გადაწყვეტილება,[25] რომელიც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს.

ამდენად, ცალსახაა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები არ არის შეუზღუდავი. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო ადრესატ უწყებებს მხედველობაში მიეღოთ ტერიტორიის მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, ადგილობრივი მოსახლეობის კერძო ინტერესები (მაგალითად

---

[19] „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულა.
[20] „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[21] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლი, ნაწილი 1.
[22] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლი, ნაწილი 2.
[23] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი.
[24] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53 -ე მუხლი, ნაწილი 4.
[25] ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010, 38.

შემოსავლის წყარო, ალტერნატიული მიწით სარგებლობის შესაძლებლობა) და შეეპირისპირებინათ საჯარო ინტერესთან. საქმეში არსებული დოკუმენტაციით არ იკვეთება უწყებების მიერ ხსენებულ გარემოებებზე მსჯელობის საკითხი. ამასთანავე, მიღებული აქტები არ შეიცავს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რის გამო მივიდა ორგანო საკითხის ამგვარ გადაწყვეტამდე.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლში. მოცემული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებას, საკუთარი ინიციატივით ცნოს ბათილად კანონსაწინააღმდეგო აქტი. დასახელებული მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმის გათვალისწინებით, რომ სადავოდ გამხდარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე, ამგვარი ინფორმაციის გამოკვლევის შემთხვევაში, კი ორგანოები შესაძლოა მისულიყვნენ საკითხის სხვაგვარ გადაწყვეტამდე, მიგვაჩნია, რომ სახეზეა **საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 სექტემბრის N1811 განკარგულებისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N 892018853411-03 გადაწყვეტილების** სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის წინაპირობები.

რაც შეეხება **სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას** შორის 2018 წლის 2 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულებას, როგორც უკვე აღინიშნა არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება.[26] ვინაიდან, მითითებულ დოკუმენტს საფუძვლად დაედო **საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 სექტემბრის N1811 განკარგულება,** რომლის ბათილად ცნობის საფუძვლებთან დაკავშირებით უკვე აღინიშნა, სახეზეა მითითებული ხელშეკრულების (სრულად ან ნაწილობრივ) ბათილად ცნობის წინაპირობაც. მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულების ბათილად ცნობა წარმოადგენს თანმდევ შედეგს და ამდენად საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმ აქტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობაზე, რომლის საფუძველზეც ხსენებული ხელშეკრულება დაიდო.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით:

საქართველოს პრემიერ მინისტრს:

განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოება და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის საფუძველზე მიიღოთ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 სექტემბრის N1811 განკარგულების (სრულად ან ნაწილობრივ) ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს:

განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოება და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 სექტემბრის N1811 განკარგულების (სრულად ან ნაწილობრივ) ბათილად ცნობის შემთხვევაში მიიღოთ თანმდევი

---

[26] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

გადაწყვეტილება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2018 წლის 2 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების (სრულად ან ნაწილობრივ) ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს:

განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოება და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 სექტემბრის N1811 განკარგულებისა და სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2018 წლის 2 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების (სრულად ან ნაწილობრივ) ბათილად ცნობის შემთხვევაში, მიიღოთ თანმდევი გადაწყვეტილება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 12018 წლის 8 ოქტომბრის N 892018853411-03 გადაწყვეტილების (სრულად ან ნაწილობრივ) ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, გვაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში და წარმოადგინოთ შესაბამისი წარმოების მასალების ასლები.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.